

## არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევა

2010 წლის შედეგები (შედარებები გაკეთებულია ფაქტობრივ ფასებში)


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური უკვე მეხუთე წელია ატარებს არაკომერციული ორგანიზაციების (ფონდები, კავშირები, პოლიტიკური, რელიგიური, საქველმოქმედო და სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციები) წლიურ გამოკვლევას.

როგორც მოგეხენბათ, არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ იურიდიულ პირებს ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის ძირითადი ნაწილი რეალიზდება უფასოდ, ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში. აღნიშნული არაკომერციული ორგანიზაციები იმყოფებიან თვითდაფინანსებაზე და სახსრებს ძირითადად დებულობენ შემოწირულობებისა და საკუთარი წევრების შენატანების სახით. გარკვეულ შემოსავლებს ისინი აგრეთვე იღებენ მათი კუთვნილი მატერიალური და ფინანსური აქტივებიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე კომერციული საქმიანობის უფლებაც.

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2010 წელს არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის ბრუნვის მოცულობამ - დამხმარე კომერციული საქმიანობიდან – 44.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს 22.8 პროცენტით აღემატება (იხ. გრაფიკი №1).

გრაფიკი №1



ბრუნვის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი მოდის განათლების (28.3 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების (25.4 პროცენტი), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგის ორგანიზაციებზე (23.1 პროცენტი), აგრეთვე საფინანსო საქმიანობის (13.5 პროცენტი) და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (4.9 პროცენტი) დარგის ორგანიზაციებზე


ბრუნვის მოცულობის ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა, 2009 წელთან შედარებით შეინიშნებოდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების (დაახლოებით 2.4-ჯერ), განათლების (დაახლოებით 2.1-ჯერ), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგებში. კლების ტენდენცია ფიქსირდება თითქმის ყველა დანარჩენ დარგში: კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგში – 24.2 პროცენტით, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის დარგში – 57.0 პროცენტით, მშენებლობის დარგში – 45.3 პროცენტით, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის დარგში – 71.4 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის დარგში – 89.0 პროცენტით, საფინანსო საქმიანობის დარგში – 9.2 პროცენტით.

პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების<sup>1</sup> მოცულობამ არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში 2010 წელს 436.1 მლნ ლარი შეადგინა (აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 28.5 პროცენტით).

პროდუქციის გამოშვებაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დარგის ორგანიზაციები (51.9 პროცენტი), აგრეთვე კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის (23.0 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის (16.2 პროცენტი) და განათლების დარგების (8.0 პროცენტი) ორგანიზაციები.

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2010 წელს 19498 ერთეული შეადგინა, საიდანაც 58.0 პროცენტი ქალია, ხოლო 42.0 პროცენტი კაცი. აღნიშნული მაჩვენებელი 2009 წელთან შედარებით გაზრდილია 8.1 პროცენტით (იხ. გრაფიკი №2).

<sup>1</sup> არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების მოცულობაში იგულისხმება მათ მიერ გაწეული დანახარჯების ჯამი.



დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი – 43.6 პროცენტი – კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგის ორგანიზაციებზე მოდის, 26.0 პროცენტი – ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დარგის ორგანიზაციებზე, 23.7 პროცენტი – განათლების დარგზე, ხოლო დანარჩენი 6.7 პროცენტი სხვა დარგებში ნაწილდება.

დასაქმებულთაგან დაქირავებულია 16369 ერთეული (მათ შორის ქალია 58.0 პროცენტი). დაქირავებულთა რაოდენობა 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით შემცირებულია 2.4 პროცენტით.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

